



## საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი



### პრესს რელიზი

#### ტურისტების რაოდენობა

2016 წლის 8 თვის მონაცემებით, აჭარაში უცხოელი ტურისტების რაოდენობა 11,34% გაიზარდა, რაც 227, 342 უცხოელ ტურისტს გულისხმობს.

გაზრდილია რეგიონში ვიზიტორების რაოდენობაც. საზღვრის კვეთის მონაცემებზე დაყრდნობით რეგიონს იანვარ-სექტემბერში 2 758 744 ვიზიტორი სტუმრობდა. მათ შორის საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა 1 132 250 შეადგენს.

საერთაშორისო მოგზაურების განსაკუთრებული ზრდა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში ფიქსირდება. 9 თვეში, საჭაერო გზით აჭარაში შემოსული საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 76,55% გაიზარდა, რაც 114 169 უცხოელ ვიზიტორს გულისხმობს.

#### **ქვეყნები:**

გასული წლისგან განსხვავებით, წელს განსაკუთრებით გაიზარდა მოგზაურების რაოდენობა ირანიდან, საიდანაც რეგიონში 30 468 ვიზიტორი შემოვიდა. ციფრი 7,5 -ჯერ აღემატება გასულ წლის ანალოგიურ პერიოდს და მათი ძირითადი ნაწილი სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან შემოვიდა (23 230).

ლიდერობს ისრაელიც, საიდანაც ვიზიტორების რიცხვი რეგიონში 371% -ით გაიზარდა (23 236). მათი დიდი უმრავლესობა კი აჭარაში ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან შემოვიდა (22 803).

გაზრდილია საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა საუდის არაბეთიდან 76%-ით (3270), ხოლო არაბეთის გაერთიანებული ემირატებიდან 279% ით (1483).

დღემდე აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ტურისტების რაოდენობას რეგიონში რეგისტრირებული განთავსების ობიექტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ითვლიდა. თუმცა წელს, დაიწყო არარეგისტრირებული განთავსების ობიექტების კვლევაც, რომლის ფარგლებშიც დადგინდება თუ რა რაოდენობის ტურისტი რჩება აჭარაში არარეგისტრირებულ სასტუმროებსა და საოჯახო სახლებში. რაც საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს თუ რა რაოდენობის ტურისტი სტუმრობს აჭარას წლის განმავლობაში. გარდა ამისა, დეპარტამენტი ასევე აწარმოებს შიდა და უცხოელი ტურისტების კვლევებს, რომლის შედეგადაც ყალიბდება რეგიონის სტუმარი ტურისტების პროფილები. კვლევის შედეგები ერთის მხრივ საშუალებას იძლევა, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა პიარ და მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვისას ქვეყნების

მიხედვით გაითვალისწინოს თუ რეგიონის რომელ ტურისტულ პროდუქტებსა და პოტენციალს გაუწიოს პოზიციონირება კონკრეტულ ქვეყანაში და რა გზებით. გარდა ამისა, რა ტიპის პრობლემებს აწყდება ტურისტები რეგიონში სტუმრობისას და როგორ შეიძლება მათი მოგვარების გზების დაგეგმვა და განხორციელება.

## **პიარი + რეკლამა**

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი რეგიონის ტურისტული პოტენციალისა და პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით სარეკლამო და პიარი კამპანიებს 10 სამიზნე ქვეყანაში აწარმოა (თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ბელარუსია, ლიტვა, პოლონეთი, ყაზახეთი, ისრაელი, რუსეთი).

პიარი და მარკეტინგული ღონისძიებები ონლაინ რეკლამებს, გარე რეკლამებს (ბილბორდები, ლაითბოქსები, ბრენდირებული ავტობუსები), რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესახებ სპეციალური გადაცემების მომზადებას, რკინიგზისა და ავიაკომპანიების საბორტო ჟურნალებში სარეკლამო სტატიების განთავსებას, ასევე პრესს და ინფო ტურების ორგანიზებას, აჭარის დღეების გამართვასა და საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობას ითვალისწინებდა. ასევე, სამიზნე ქვეყნებში ფლემშობების, კონკურსების, პრესს ლანჩების, პრესკონფერენციების, პრომო აქციების, გასტრო ტურებისა და კულინარიული მასტერკლასების ჩატარდა.

- სამიზნე ქვეყნებიდან დეპარტამენტმა **22 პრეს და 8 ინფო ტურს** გაუწია ორგანიზება, რომლის საშუალებითაც რეგიონის ტურისტულ პოტენციალს გაეცნო **290** სტუმარი, მათ შორის 114 ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელი და 176 ჟურნალისტი. აჭარის შესახებ სამიზნე ქვეყნების რეიტინგულ მედია საშუალებებში **130-ზე მეტი სტატია, ტელე-რადიო სიუჟეტი და გადაცემა** გავიდა.
- აჭარაში მოგზაურობას ვრცელი სარეკლამო გადაცემები მიუძღვნა ისეთმა ტელეკომპანიებმა როგორებიცაა **Bloomberg TV** , **CNN TÜRK** , **Моя планета**, **ПЯТНИЦА**, **The Good Life Channel**, **Travel Channel Israel**, **Channel 10**, **Беларусь 1**, **ОНТ**, **ATV** .
- აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით რეგიონის ტურისტული პოტენციალის პრეზენტაციები ჩაატარა **სპარსეთის ყურის ქვეყნებში**. გარდა ამისა, წელს პირველად, ბაზრების მოსინჯვის მიზნით მონაწილეობა მიიღო დუბაის, ჩინეთის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის ტურისტულ გამოფენებში.
- **სულ - 15 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა სამიზნე ქვეყნების ჩათვლით**
- წარმატებით განხორციელდა დეპარტამენტისა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი პროექტი - აჭარის დღეები სამიზნე ქვეყნებში. ლიტვის, ისრაელის, ყაზახეთის, ბელარუსიისა და პოლონეთის

მაცხოვრებლებმა, ჟურნალისტებმა, ტურისტულმა სააგენტოებმა და დიპლომატიური კორპუსების წარმომადგენლებმა აჭარაში ჩამოსვლამდე, თავიანთ ქვეყანაში ნახეს რისი დათვალიერების, დაგემოვნებისა და ნახვის შესაძლებლობა აქვთ რეგიონში სტუმრობისას.

**სულ გაიამართა 7 აჭარის დღე.**

- აჭარაში ტურისტული სეზონის გახანგძლივებისა და ტურისტების მოზიდვის მიზნით აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ცნობილ ტელეარხებზე ვიდეო რეკლამა გაუშვა. ვიდეო რგოლი **Discovery channel-ზე, My planet-ზე, Euronews Moscov-ისა და Euronews Spb-ის** ტელეეთერში სექტემბრის განმავლობაში ტრიალებდა.

### ონლაინ რეკლამა

გარდა ტრადიციული მარკეტინგული ღონისძიებებისა, დეპარტამენტი წლის დასაწყისიდან დღემდე აღნიშნულ სამიზნე ქვეყნებში ახორციელებს რეგიონის ონლაინ რეკლამირებას სოციალური მედია ინსტრუმენტებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შედეგად,

- 80 632 ვიზიტორი ვებ-გვერდზე: [www.goBatumi.com](http://www.goBatumi.com).
- 106 852 მომხმარებელი სოციალურ ქსელში

**პიარ კამპანიების სრული წვდომა ქვეყნების მიხედვით:**

თურქეთი- **18 560 000**, უკრაინა -**11 000 000**, რუსეთი - **90 000 000**, პოლონეთი-**48 800 000**, ისრაელი - **15 000 000**, სომხეთი - **2 000 000**, ყაზახეთი - **6 500 000**, აზერბაიჯანი -**2 500 000**, ბელორუსია - **25 000 000**, ლიტვა - **10 314 671**

### სერვისი

მიმდინარე წელს, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის სატრენინგო-საკონსულტაციო ცენტრში 261 ადამიანი გადამზადდა. ტრენინგები განთავსების ობიექტების ადმინისტრატორებს, რეზერვაციის სამსახურის თანამშრომლებს, კვების ობიექტების მენეჯერებს, მიმტანებსა და ტურ ოპერატორებს ონლაინ დაჯავშნის, საკვები პროდუქტების ინსპექტირების, სარესტორნო ბიზნესის მართვის, სერვისის ხარისხის გაუმჯობესებისა და პიარ კომუნიკაციების შესახებ ჩაუტარდათ. წლის ბოლომდე კი დეპარტამენტში 20-ზე მეტი ტრენინგია დაგეგმილი, რომლის ფარგლებშიც 200 ადამიანის გადამზადება იგეგმება.

**რეკომენდებულია:**

რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ არის ინოვაციური პროექტი, რომელიც ტურისტული ობიექტებისთვის ხარისხის ნიშნის მინიჭებას ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ პროექტში 73 ობიექტი დარეგისტრირდა ამ ეტაპზე ხარისხის ნიშანი „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ მხოლოდ 46 განთავსებისა და კვების ობიექტს აქვს მინიჭებული. ხარისხის ნიშანი სტუმრებისთვის აღნიშნულ ობიექტებში უსაფრთხოების, სანდასუფთავების, ჰიგიენისა და მომსახურების მინიმალური სტანდარტების გარანტიას გულისხმობს. პროექტი გრძელდება და ამ ეტაპზე 16 ობიექტი ელოდება ხარისხის ნიშნის მინიჭებას.

## ტურისტული პროდუქტები

ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს მიერ მიმდინარეობს მაღალმთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტების მარკირება, მარშრუტებზე მანიშნებლების დამონტაჟება, მარშრუტების საინფორმაციო მასალის და რუკების შექმნა და ბეჭდვა, საინფორმაციო გაცნობითი ტურების ორგანიზება სააგენტოებისა და გიდებისთვის. წელს, ზაფხულის სეზონისთვის ტურისტებისთვის მომზადდა 5 მარშრუტი - მირვეთის ველო-მარშრუტი, მაჭახელას ისტორიულ-კულტურული მარშრუტი, ხიხანის სათავგადასავლო მარშრუტი, ქედის ღვინის მარშრუტი და ქედა-ხულოს კულინარიული მარშრუტი. აღნიშნულ მარშრუტებზე სააგენტომ ჩაატარა ინფო-ტურები, გადაამზადა გიდები და მოამზადა რუკები.

- 17 ინფო ტური - 300 მონაწილე
- მაჭახელას მარშრუტის 10 პროფესიონალი გიდის მომზადება
- ქედის ღვინის მარშრუტზე 8 პროფესიონალი გიდის მომზადება
- 5 ტურისტული მარშრუტის მარკირება-განვითარება

მარშრუტების განვითარების კუთხით გატარებული ღონისძიებების შედეგად გაიზარდა მარშრუტებზე ღამისთვის რაოდენობა, მუზეუმებში კი ვიზიტორების რაოდენობა. 2015 წელთან შედარებით საოჯახო სასტუმრო სახლების რაოდენობა 33%, ხოლო ღამისთვის რაოდენობა 93%-ით გაიზარდა.

- ყველა მარშრუტზე საოჯახო სასტუმრო სახლების რაოდენობა 33%-ით გაიზარდა (20 სახლი)
- მაჭახელას ტურისტულ მარშრუტზე, საოჯახო სახლებში ღამისთვის რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 178%-ით გაიზარდა ( 334 )
- ქედის ღვინის მარშრუტზე საოჯახო სახლებში ღამისთვის რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 99 %-ით გაიზარდა (4 450 )
- ხიხანის სათავგადასავლო მარშრუტზე საოჯახო სახლებში ღამისთვის რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20 %-ით ( 367 ), ხოლო 2014 თან შედარებით 225%-ით გაიზარდა

სულ, აღნიშნულ მარშრუტებზე ღამისთვის რაოდენობა 93 %-ით ( 5 151 ) გაიზარდა

აღნიშნულ მარშრუტებზე მუზეუმებში ვიზიტორების რაოდენობა 35%-ით გაიზარდა

- ჩხუტუნეთის მუზეუმი (მაჭახელა) – 59 % (600)
- ქედის მუზეუმები - 31 % (3 220)

- სელიმ ხიმშიაშვილის მუზეუმი (სხალთა) – 36 % (5 300)

სულ, ზემოთ აღნიშნულ მუზეუმებში ვიზიტორების რაოდენობა 35 % -ით ( 9 120) გაიზარდა

ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა საინფორმაციო ტურისტულ ცენტრებშიც. 9 თვის მონაცემებით, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებს 77 345 ტურისტი სტუმრობდა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 102% მეტია.

### ფრენები

წელს აჭარაში უპრეცედენტო რაოდენობის ფრენები განხორციელდა. ფრენების განსაკუთრებული ზრდა მიმდინარე წლის ზაფხულის სეზონზე დაფიქსირდა. მხოლოდ ივლისის თვეში ბათუმის მიმართულებით 300-ზე მეტი ავიარეისი 22 მიმართულებიდან განხორციელდა. ფრენები ძირითადად თურქეთიდან, არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან, პოლონეთიდან, ისრაელიდან, ყაზახეთიდან, ბელორუსიიდან, უკრაინიდან, ირანიდან და რუსეთის ფედერაციიდან შესრულდა. აღნიშნული ქვეყნებიდან ფრენებს გასულ წელს მოქმედ ავიაკომპანიებთან ერთად 7 ახალი ავიაკომპანია ახორციელებდა. მათ შორის Scat Airlines, Skybus, El Al Israel Airlines, Israil Airlines, Air Arabia, Bravo Airlines, Taban Air თელავივიდან, შარჟადან, თებრიზიდან, თეირანიდან, მაშადიდან, კუვეიტიდან, ყაზახეთის 6 ქალაქიდან და კიევიდან.

### სასტუმროები

2016 წელს, აჭარას 1 526 საწოლი ადგილი შეემატა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9%-იან ზრდას გულისხმობს. რეგიონს მიმდინარე წელს გაიხსნა ისეთი ხუთვასკვლავიანი სასტუმროები, როგორებიცაა „კასტელო მარე“ და სასტუმრო „ეიფორია“. აღნიშნული პროექტებით რეგიონში 115 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. გარდა 5 ვარკლავიანი სასტუმროებისა აჭარას შეემატა საშუალო და დაბალბიუჯეტის სასტუმროებიც, როგორებიცაა „ერა პალასი“, „მარსელი“ და სასტუმრო „მგზავრები“-ს ახალი შენობა გონიოში.

ინფრასტრუქტურული პროექტები მიმდინარეობს კურორტ „გოდერძზე“, სადაც ორი მაღალი კლასის სასტუმროს „ალიანს რეზორტი“-სა და „ეიფორია სქაი თაუერი“-ს მშენებლობა მიმდინარეობს. 2017 წელს სრულად დასრულდება შიდა გზები. გაკეთდება ახალი ბორდიურები, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემები, მოეწყობა მწვანე საფარი, აშენდება სხვადასხვა ტიპის მოედნები ბავშვებისთვის. იქნება საფეხბურთო, საკალათბურთო მოედანი. ასევე საბავშვო გასართობი ცენტრი. 2017 წელს დაიწყება გოდერძამდე მიმსავლელი გზის რეაბილიტაცია, რომელიც ჩვენი ინფორმაციით 2018 წლისთვის დასრულდება.